შირაქი
SHIRAKI
გამოცემის 85-ე წელი
გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
№30 (10.037)
20 — 27 აგვისტო 2022 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

# „მე მიხარია, რომ თქვენს ახლოს, თქვენს გვერდით ვცხოვრობ!“

**ორწლიანი პაუზის შემდეგ, 16 აგვისტოს, ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში „დედოფლისწყაროობა - 2022“ მასშტაბურად აღინიშნა. დედოფლისწყაროელებს სახალხო დღესასწაული კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი შიოშვილმა, პარლამენტის მაჟორიტარმა წევრებმა - ირაკლი ქადაგიშვილმა და დავით სონღულაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა მიულოცეს.**



„დედოფლისწყაროობის“ ღონისძიებაზე გამოვლინდნენ დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები. საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ: ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტს, ხორნაბუჯის, ჰერეთისა და ნეკრესის ეპარქიის დროებით მმართველს მეუფე თეოდორე ჭუაძეს, ცნობილ ანალიტიკურ მკვლევარს, დავით ქართველიშვილს, ექიმ მარინა ხარაშვილს, ხელოვან ცარო მარტიაშვილს, ღვაწლმოსილ პედაგოგს ნანული ნატროშვილს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ორი წელი გავიდა, რაც ერთმანეთს არ შევხვედრივართ „დედოფლისწყაროობაზე“. პანდემიამ რთულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო და დღეს მივხვდით, როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი. ეს ხალხმრავლობა სწორედ ამაზე მეტყველებს.

იმ პერიოდში, რაც „დედოფლისწყაროობა“ არ ჩატარებულა, ძალიან ბევრი რამ მოხდა ჩვენს მუნიციპალიტეტში, ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ. დედოფლისწყაროს ჰყავს საამაყო შვილი - ქვეყნის პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, სწორედ მისი ინიციატივით დედოფლისწყაროსთვის მნიშვნელოვანი და ყველაზე სანუკვარი პროექტები დაიწყო. სასმელი წყლის დებეტის გაზრდით 24 საათიანი მომარაგების პროექტი. დიახ, სწორედ წყალია ჩვენი მთავარი პრობლემა, რომელიც ასე გვიჭირს და გვჭირდება მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ამ პროექტის წყალობით მალე გვექნება უწყვეტი წყალმომარაგება და ეს ჩვენი პრემიერის დამსახურებაა“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და სცენაზე მოიწვია კახეთის ექსგუბერნატორი, საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი ქადაგიშვილი, რომელმაც დედოფლისწყაროს პირველი საპატიო მოქალაქე წარუდგინა საზოგადოებას - მეუფე თეოდორე, ახალციხისა და ტაო - კლარჯეთის მიტროპოლიტი, რომელიც მეუფე დიმიტრის გარდაცვალების გამო დროებით, ჩვენს ეპარქიასაც წინამძღოლობს.



ირაკლი ქადაგიშვილი: „ჩემთვის ყველაზე დიდი პატივია აქ, დედოფლისწყაროში ჩამოსვლა. მე დღეს თითოეული თქვენგანის თვალებში ვხედავ სიხარულს, სიკეთეს და ოპტიმიზმს, ხვალინდელი დღის იმედს. დიდი მადლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მესვეურებს - მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და ყველას, ვინც საქმეს აკეთებს. მათი ერთობლივი შრომით მუნიციპალიტეტის ცხოვრება ყოველწლიურად კიდევ უფრო უკეთესი ხდება. ამასთანავე, დედოფლისწყარო არის ჩვენი კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის მხარე. სწორედ ეს სულიერი მემკვიდრეობაა ის, რაც გვაძლევს იმის სტიმულს, რომ არასოდეს დავკარგოთ ჩვენი ეროვნული ტრადიცია, ჩვენი ისტორია და რწმენა, ამ წარსულზე დაყრდნობილებმა ვიაროთ მომავლისაკენ, ვიაროთ თავაწეულებმა და მხარგაშლილებმა. ჩვენი დედა-ეკლესია არის ის ძალა, რომელიც ხელს უწყობს ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას და ხვალინდელი დღისკენ წარმატებულ წინსვლას.

დღეს მე პატივი მაქვს დავასახელო დედოფლისწაროს საპატიო მოქალაქე. ეს ტიტული გადაეცემა მეუფე თეოდორეს - ღირსეულ მღვდელმთავარს, უამრავი კეთილი საქმის მკეთებელს, ქართული ქრისტიანული რწმენის შენარჩუნებაში, ჩვენი სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის. ის ათეული წლის წინ მსახურობდა ბოდბის ეპარქიაში, როგორც ამ ეპარქიის წინამძღოლი. დღეს კი არის ხორნაბუჯის, ჰერეთისა და ნეკრესის ეპარქიის მმართველი იმ მოვლენებიდან გამომდინარე, რაც პანდემიამ გამოიწვია“.

მიტროპოლიტი თეოდორე: - „დიდი მადლობა ამ ყურადღებისთვის და დაფასებისთვის. შევეცდები, ცოტათი მაინც შეგიმსუბუქოთ მეუფე დიმიტრის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი და ერთად გავაგრძელოთ იმ გზაზე სიარული, რომელიც მეუფე დიმიტრიმ დაიწყო“.

ირაკლი შიოშვილი: - „გილოცავთ ყველას სახალხო დღესასწაულს. პანდემიამ შეგვაფერხა და ამგვარი დღესასწაულები იშვიათობად იქცა. ახლა უკვე გვაქვს შესაძლებლობა, საჯარო სივრცეში შევხვდეთ ერთმანეთს. მრავალ ასეთ დღესასწაულებს, ჩემო დედოფლისწყაროელებო!“

ირაკლი შიოშვილმა დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის ტიტული მკვლევარს და ანალიტიკოსს დავით ქართველიშვილს გადასცა.

დავით ქართველიშვილი: - „თავის დროზე, დედოფლისწყარომ გააერთიანა მამაჩემის ოჯახი, 1870-იან წლებში აქ დასახლებული უკრაინელებისა და რუსების შერეული ოჯახის შთამომავალთან – დედაჩემთან. ბავშვობიდანვე, მამის მხრიდან – ქართველი და დედის მხრიდან – სლავები, ჩემთვის ერთნაირად ქიზიყელები იყვნენ. რუსი და უკრაინელი წინაპრების საფლავები აქ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულით თარიღდება.

პაპაჩემი იოსება – არხილოსკალოს სკოლის დირექტორი იყო, შემდეგ წითელ წყაროს ფიზიკა/მათემატიკის მასწავლებელი. ბიძაჩემი - სერგო, რაიონში ყველა აღორძინებული უძველესი ტაძრის არქიტექტორ-რესტავრატორია, მათ შორის იმ უნიკალური, ელია თეზბიტელის სახელობის მონასტრის, ელიას მთაზე. ქართული და სლავური მხრიდან - ჩემი ქიზიყელი ნათესავებით ვამაყობ.

*(დასასრული მერვე გვერდზე)*

C M Y K

# პრემიერის ახალი ინიციატივა

***პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მასშტაბური პროექტის განხორციელება იწყება - 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პირველი ეტაპი მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყება და ტენდერი 80 ახალი სკოლის მშენებლობასა და 320 სკოლის რეაბილიტაციაზე გამოცხადდება.***

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერის ხელმძღვანელობით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ლევან სუხიტაშვილმა მთავრობის მეთაურთან ერთად პროექტის დეტალები განიხილეს.

პროექტის თანახმად, დარჩენილი 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი 2023-2024 წლებში გამოცხადდება და 2026 წლის ბოლოსთვის, სულ, 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება.

პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და მათ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს და მისი განხორციელებით 230,000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება.

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციისა და ახალი სკოლების მშენებლობის დროს გათვალისწინებულია მათი აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, მოეწყობა თანამედროვე ლაბორატორიები, გაიმართება სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიმართულებით. ყველა სკოლა მთლიანად ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

როგორც სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა აღნიშნა, განათლებაზე ზრუნვა მთავრობის სტრატეგიული პრიორიტეტია. პროექტის ღირებულება 1 მლრდ ლარს შეადგენს.

## რომელი პროდუქტი გაძვირდა ყველაზე მეტად საქართველოში

საქართველოში ყველაზე პოპულარულ ხილსა და ბოსტნეულზე ფასები, მიმდინარე წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით პერიოდში, საშუალოდ, 18,6%-ით გაიზარდა. ამის შესახებ პოლონური პორტალის, Picodi.com-ის ანალიტიკოსების კვლევაში არის ნათქვამი.

მათ ყველაზე პოპულარულ ხილსა და ბოსტნეულზე ფასების ზრდა გააანალიზეს და მსოფლიოს 94 ქვეყნის რეიტინგი შეადგინეს. ბოსტნეულისა და ხილის ღირებულების შესადარებლად Picodi.com-ის ანალიტიკოსებმა კარტოფილი, პომიდორი, ხახვი, სალათის ფოთოლი, ფორთოხალი, ბანანი და ვაშლი შეარჩიეს. ამ ხილ-ბოსტნეულზე ფასების 18,6%-იან ზრდით საქართველო რეიტინგში მე-7 ადგილს იკავებს, ხოლო აღნიშნულ პროდუქტებს შორის ქვეყანაში ყველაზე მეტად, 39,9%-ით პომიდორი გაძვირდა. პომიდვრის გაძვირებით საქართველო 94 ქვეყნის რეიტინგში მე-9 ადგილზეა. ყველაზე პოპულარულ ხილ-ბოსტნეულზე ფასთა საერთო ზრდის რეიტინგში პირველი ადგილი თურქეთმა დაიკავა, სადაც 2022 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით აღნიშნული პროდუქტების ღირებულება 72,2%-ით გაიზარდა. ამასთან, თურქეთში, საქართველოს მსგავსად, ყველაზე მეტად ფასი პომიდორზე გაიზარდა, რომლის საშუალო ღირებულებამაც 121%-ით მოიმატა. ფასების ზრდის 33,4%-იანი მაჩვენებლით მეორე ადგილს ბელარუსი იკავებს, სადაც, ასევე, ყველაზე მეტად, 52%-ით პომიდორი გაძვირდა. რუსეთი ამ რეიტინგში მე-3 ადგილზეა, სადაც ფასების ჯამურმა ზრდამ 27,3% შეადგინა. რუსეთში ყველაზე მეტად, 45,6%-ით ფასმა კარტოფილზე მოიმატა. რაც შეეხება რეგიონის სხვა მეზობლებს, სომხეთში პოპულარულ ხილ-ბოსტანზე ფასებმა 10,9%-ით (23-ე ადგილი), ხოლო აზერბაიჯანში ყველაზე ნაკლებად, 2,9%-ით მოიმატა (70-ე ადგილი). შუა აზიის ქვეყნებიდან ყირგიზეთში ფასების 10,3%-იანი (24-ე ადგილი), ყაზახეთში 10%-იანი (25-ე ადგილი), უზბეკეთში კი 3,6%-იანი ზრდა დაფიქსირდა (58-ე ადგილი). თითოეული პროდუქტის განხილვის მიხედვით, ყველაზე მეტად ვაშლის ფასი, 82%-ით ანდორაში გაიზარდა. ბანანის გაძვირებაში 47,7%-ით ბელარუსი ლიდერობს, ხოლო თურქეთი ლიდერია ერთბაშად რამდენიმე პროდუქტის გაძვირებაში, როგორიც არის ფორთოხალი 50,5%-ით, პომიდორი 121,6%-ით, ხახვი 72,8%-ით, კარტოფილი 84%-ით და სალათის ფოთოლი 83.7%-ით. შერჩეულ ხილბოტანზე ფასების საშუალო ზრდის მიხედვით რეიტინგის 10-ლი ასეთია:

- თურქეთი - 72,2% (პომიდორი 121,6%-ით)
- ბელარუსი - 33,4% (პომიდორი 51,9%-ით)
- რუსეთი - 27,3% (კარტოფილი 45,6%-ით)
- ლიეტუვა - 24,1% (კარტოფილი 40,0%-ით)
- ანდორა - 23,8% (ვაშლი 82,0%-ით)
- უკრაინა - 19,9% (ხახვი 60,7%-ით)
- საქართველო - 18,6% (პომიდორი 39,9%-ით)
- ბულგარეთი - 18,3% (პომიდორი 43,1%-ით)
- მონტენეგრო - 17,7% (პომიდორი 32,2%-ით)
- პაკისტანი - 17% (პომიდორი 36,2%-ით)

ამ კვლევაში ნაჩვენები პროდუქციის ფასები numbeo.com-დან არის აღებული, რომელსაც მთელი მსოფლიოდან ასობით ათასი მომხმარებელი ჰყავს. პირობით კალათაში თითო-თითო კილოგრამი ფორთოხალი, ბანანი, კარტოფილი, ხახვი, პომიდორი და ვაშლი, ასევე, 1 ცალი სალათის ფოთოლი შედიოდა.

## საქართველოში ცხოველთა და ფრინველთა 123 სასაკლაო ფუნქციონირებს – რა ღირს სასაკლაოების მომსახურება

***2022 წლის II კვარტალში საქართველოში 123 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა - ინფორმაციას ამის შესახებ საქსტატი აქვეყნებს.***

უწყების ცნობით, მათგან 17.9% მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, 16.3% - კახეთის რეგიონში, 16.3% - შიდა ქართლის რეგიონში, 13.8 %- იმერეთის რეგიონში, 10.6% - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 25.2 % - სხვა რეგიონებშია განთავსებული. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წლის II კვარტალში სასაკლაოებში დაიკლა 94.7 ათასი სული პირუტყვი, საიდანაც 44.0% - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 39.6 % - ღორი, ხოლო 8.9 % ცხვარი და თხა იყო. დანარჩენი პირუტყვის წილი (არ მოიცავს ფრინველს) 7.6 % შეადგენს. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 3 057.1 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2022 წლის II კვარტალში 12.9 ათასი ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 38.4% მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 41.1 % - ფრინველის ხორცზე, 19.4 % - ღორის ხორცზე, 1.0 % - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 13.6 ათას პირს, საიდანაც 33.2 % შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი.

სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 982 კაცი შეადგინა, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში სასაკლაოებში 837 ადამიანი იყო დასაქმებული.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 31.5 ლარია, გასული წელის ანალოგიურ პერიოდში კი 30 ლარი იყო. ცხვრის ან თხის დაკვლის საფასური - 14 ლარიდან 12.4 ლარამდე შემცირდა, ხოლო ღორის დაკვლის საფასურმა 30 თეთრით მოიმატა 26.5-დან 26.9 ლარამდე.

# ქართველები თურქეთში სეზონურ სამუშაოზე აღარ გადადიან - თხილის მკრეფავებს ახლა იქ უფრო ნაკლებს უხდიან, ვიდრე საქართველოში

***საქართველოში თხილის მოსავლის აღება უკვე დაიწყო. სამუშაო პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, მთლიანი მოსავლის დაახლოებით 25-30%-ია აღებული. კარგი სიახლე ის არის, რომ წელს მუშახელის დეფიციტი აღარ შეიმჩნევა. ამის მიზეზი უფრო ისაა, რომ თურქეთში სეზონურ მუშაობაზე წელს ხალხმა მასობრივად თქვა უარი, რადგან იქ დასაქმებულებს უკვე უფრო ნაკლებს უხდიან, ვიდრე საქართველოში. ასე რომ, ადგილობრივები უკვე საქართველში ჩაერთნენ მოსავლის აღების პროცესში. თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი თოდუა მოსავალზე, ხარისხზე, მუშახელზე, ფასზე და სხვა საკითხებზე საუბრობს:***

„დაახლოებით 10 დღეა, რაც დაიწყო თხილის მოსავლის აღება, თუმცა 25-30%-ზე მეტი არ არის აღებული. ნალექების, წვიმების გამო დაგვიანდა დაბინავება და დაახლოებით ერთ კვირაში უფრო ინტენსიურად დაიწყება მოსავლის აღება ყველგან, სადაც კი თხილი იწარმოება. ეს არის: სამეგრელო, გურია, იმერეთი, აჭარა, კახეთი და ა.შ. გააჩნია, ჯიშებსაც. ადგილობრივი ცოტა ადრე და უცხოური შედარებით გვიან, დაახლოებით, 25 აგვისტოდან შემოდის. რაც შეეხება თხილის ხარისხს, საქართველოში ზოგადად 50 ათასი ფერმერია და ჩვენი ვარაუდით, 10 ათას ფერმერს მაინც ექნება პირველი ხარიხსის თხილი. უახლოესი 3 წლის განმავლობაში ვაპირებთ, რომ ვიმუშაოთ პრემიუმ ხარისხის თხილის მიღებაზე, რადგან ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, თურქულ და იტალიურ თხილთან შედარებით, სტანდარტში ჩამორჩენა გვაქვს. პირველი ხარისხის წილი, მთლიან რაოდენობაში, დაახლოებით, 10-დან 20%-მდე მერყეობს, რაც სახარბიელო არ არის, როცა თურქეთში ეს მაჩვენებელი 90%-ია", - აცხადებს გიორგი თოდუა.

„მუშახელი ჯერჯერობით საკმარისია. დღიური მუშის ხელფასი 50 ლარია, თუმცა არის მეტის მოთხოვნის შემთხვევებიც. ზოგი 60 და 70 ლარს ითხოვს და ეს ძალიან ძვირია. 70 ლარი კილოგრამზე რომ გადავიანგარიშოთ, 70 თეთრია და ძალიან ძვირია. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მიმართულებით პრობლემა არ გვაქვს, მუშახელი არის. შარშან გვქონდა ეს პრობლემა, წელს - არა. კარგი ის არის, რომ ფერმერებს გამოცდილება დაუგროვდათ და ვინც მცირემიწიანები არიან, მათი ოჯახის წევრები მოსავლის აღების პროცესში არიან ჩართულები. ეს კარგია და მუშახელზე მოთხოვნას ამცირებს და ფასსაც არეგულირებს. ასევე მნიშვნელოვანია, თხილის გამწმენდი აპარატები, რომელიც ბაზარზე შემოვიდა", - განაგრძობს რესპონდენტი და შეკითხვაზე - „წინა წლებში ძალიან აქტუალური იყო თურქეთში წასვლა და თხილის პლანტაციებში დასაქმება. ბოლო დროს ვითარება შეიცვალა, ეს ხალხი აქ ხომ არ დასაქმდა?", - პასუხობს:

„დიახ, ახლა ვითარება სხვაგვარია და მიზეზი თანხაა. ქართულ ფულზე რომ ვიანგარიშოთ, თურქეთში მსგავს სამუშაოებზე მუშახელი 40-45 ლარს იღებს, 50 ლარს არავითარ შემთხვევაში არ სცდება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ 50 ლარი, შენს ქვეყანაში, სოფელში, გაცილებით უფრო კარგი მისაღებია, ვიდრე სხვა ქვეყანაში წასვლა და ნაკლების გამომუშავება. და ასეც მოხდა, ფაქტია, რომ წელს მუშახელის დეფიციტი არ გვაქვს".

„თხილის ფასები დამოკიდებულია ხარისხზე. იგი იყოფა სამ ნაწილად: პირველი ხარისხის, ანუ პრემიუმ ხარისხის, შემდეგ - მეორე ხარისხის და ბოლოს - მესამე ხარისხის. ამ უკანასკნელს, ბუნებრივია, რომ მაღალი ფასი არ ექნება. ახლა ფასი მაღალია, დაახლოებით 3 ლარის ფარგლებში მერყეობს, თუმცა ეს ტენიანი თხილია და 3 ლარი, ფაქტობრივად, მშრალ თხილზე 4 ლარს ნიშნავს. ასე რომ, ფერმერებს ვურჩევთ, რომ თხილი აუცილებლად გააშრონ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ფერმერებს ურჩევნიათ, რომ თხილი სექტემბერ-ოქტომბერში გაყიდონ. ამ დროს უფრო მაღალი ფასი ფიქსირდება ხოლმე, თუმცა წელს დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ასე მოხდება. შეიძლება თხილი ბაზარზე ღირდეს 4 ლარიც, 5 ლარიც, 7 და 8 ლარიც, ეს დამოკიდებულია ხარისხზე", - დასძენს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

## „მცირე რაოდენობით, თუმცა ხორბლის იმპორტი განახლდა"

***„მცირე რაოდენობით, თუმცა ხორბლის იმპორტი განახლდა" - ამის შესახებ ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, ლევან სილაგავამ განაცხადა. მისივე თქმით, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, ბაზარზე დადებითი ტენდენცია იკვეთება.***

„საქართველოში მოსავლის აღება მალე დამთავრდება. მოსავლის ნაწილი ფერმერებმა დააბინავეს და არ ყიდიან. ტრადიციულად ელოდებიან უკეთეს ფასს სეზონის შემდეგ. ნაწილი იყიდეს წისქვილებმა და მიდის გადამუშავება. საუბარია მცირე წისქვილებზე, რომლებიც იგივე ზონაში არიან, სადაც ყანებია. ე.წ. სეზონური წისქვილები კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში.

დიდი, ინდუსტრიული წისქვილები კვლავ შეზღუდულად მუშაობენ. ძირითადად გადალაგდნენ ფქვილის იმპორტზე. თუმცა, რაღაც ნაწილს ხორბალი მაინც შემოაქვს. მცირე რაოდენობით, თუმცა ხორბლის იმპორტი განახლდა, რადგან მსოფლიოში ხორბლის ბაზარზე სასიკეთო ძვრები დაიწყო", - განაცხადა ლევან სილაგავამ.

მისი თქმით, ყველა დიდი წისქვილ-კომბინატი კვლავ გაჩერებულია. მხოლოდ საშუალო სიმძლავრეების მქონე წისქვილების მცირე ნაწილი და მცირე წისქვილები ამუშავებენ ადგილობრივ მოსავალს.

## adidas-მა მზის ენერგიაზე მომუშავე ყურსასმენები წარადგინა

***გერმანულმა კომპანია adidas-მა უკაბელო ყურსასმენები, RPT-02 Sol წარადგინა, რომელიც Zound Industries-თან თანამშრომლობით შეიქმნა. მოდელის მთავარი მახასიათებელი მზის პანელია, რომელიც მოწყობილობის ბატარეის ხანგრძლივობას ზრდის.***

გლობალური კომპანია, Zound Industries ბრენდებთან, adidas-თან, Marshall-თნ და Urbanears-თან აუდიო ელექტრონულ პროდუქტებს აწარმოებს. კომპანიის სათაო ოფისი სტოკჰოლმში მდებარეობს. თავად მზის ბატარეა, Powerfoyle ყურსასმენებისთვის შვედურმა კომპანია Exeger-მა დაამზადა. მას ენერგიის დონის შევსება არა მხოლოდ კაშკაშა მზისგან, არამედ მცირე ხელოვნური განათებითაც შეუძლია.

ამასთან, გაჯეტს საყოფაცხოვრები ელექტროქსელში დასატენად სტანდარტული USB Type-C კონექტორიც აქვს. მწარმოებელი აცხადებს, რომ მუსიკის მოსმენის დროს ყურსასმენების ბატარეის ხანგრძლივობა 80 საათია. Adidas RPT-02 Sol გაყიდვაში 23 აგვისტოდან ჩაეშვება. ყურსასმენები 229 დოლარი ელირება.

მანამდე მზისპანელიანი უკაბელო ყურსასმენების მოდელი, Phoenix შვედურმა კომპანია, Urbanista-მაც წარადგინა. ამ მოდელზე მზის პანელი დამტენის კორპუსის წინა მხარეს მდებარეობს, ხოლო თავად ყურსასმენებს მედიაფაილების დაკვრა რვა საათის განმავლობაში შეუძლია. შვედური მოწყობილობის მთლიანი მუშაობის დრო, დამტენის ბაზის გამოყენების გათვალისწინებით, არის 32 საათი. კარგად განათებულ სივრცეში გატარებული ყოველი საათი ყურსასმენების სამუშაო დროს კიდევ 60 წუთით ზრდის.

# ახალი სტადიონები და ატრაქციონები აშენდება

## „პირობას ყოველთვის ვაქცევთ საქმედ!“

***თვითმმართველობის არჩევნებზე მუნიციპალიტეტის მერმა პირობა დადო, რომ მესამე ვადით არჩევისთანავე ახალგაზრდობისთვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ბევრი გაკეთდებოდა. როგორც ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, 7 ახალი სტადიონის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება. სტადიონების ნაწილს ბავშვთა კუთხეც ექნება. მერის განმარტებით, პროექტების ჯამური ღირებულება მილიონ ლარამდეა და ეს ყველაფერი არ არის. ტენდერები 23 აგვისტოს უნდა დასრულდეს.***

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი**: „კარგი ამბავი მაქვს დედოფლისწყაროელებისთვის. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ხელისუფლების მთავარი ღირსება არის ის, რომ პირობას ყოველთვის ვაქცევთ საქმედ. გასულ წელს წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენი ერთერთი დაპირება იყო, რომ 2022 წელი ახალგაზრდულ წლად ცხადდებოდა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია მოხდებოდა. ჩვენი მიზანი იყო ზრუნვა მომავალ თაობაზე. ითქვა, რომ წელს რაც შეიძლება მეტ სპორტულ მოედანს გავაკეთებდით დედოფლისწყაროს მასშტაბით. ჩემს მიერ გაჟღერებული ამ დაპირებებიდან არასრული ერთი წელი გავიდა და მე უკვე შემიძლია კონკრეტულ ნაბიჯებზე გესაუბროთ. 11 აგვისტოს მერიამ უკვე გამოაცხადა შესაბამისი ტენდერები და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 7 ახალი სტადიონი აშენდება. ზემო მაჩხაანში, ე.წ. „ფხოკას“ უბანში. ზემო ქედში ორი ახალი სტადიონი აშენდება, სოფლის ცენტრსა და ქსნელების დასახლებაში. კიდევ ერთი ახალი სტადიონი აშენდება სამრეკლოში. ახალი სტადიონი ექნება ქვემო ქედსაც. ასევე ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე, ე.წ. „ხიდის კორპუსებთან“ მოსახლეობას ვპირდებოდით სტადიონის მოწყობას. აქვე გაკეთდება ბავშვთა გასართობი ატრაქციონები. ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია ისიც, რომ ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის პროცესი გაგრძელდება. მოგეხსენებათ, მთავარ სტადიონზე ბოლო ხანს ვითარება ბევრად გაუმჯობესდა და თითქმის ყოველწლიურად აქ რაღაც კეთდება. ისიც იცით, რომ სტადიონის მესერი ცუდ მდგომარეობაშია. მინდა გაცნობოთ, რომ ამ მესერის დემონტაჟი მოხდება და 9 ძმის ქუჩის მხრიდან მოეწყობა სრულიად ახალი, რკინის დეკორატიული მესერი. ეს ბევრად დაამშვენებს და გაალამაზებს ამ ადგილს. ასევე, ბავშვთა გასართობი კუთხეები და ატრაქციონები გაკეთდება სოფელ ზემო მაჩხაანში და არბოშიკში. ამ სამუშაოების შესასრულებლად კომპანიები რომ გამოვლინდეს, ჩვენ ტენდერი უკვე გამოვაცხადეთ. სულ მალე ცნობილი გახდება, რომელ კომპანიებს მოუწევთ ამ საქმის დაწყება. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ამ პროექტების გარდა, ტენდერები სხვა საკითხებზეც გამოცხადდა და საინტერესო სიახლეებს ეტაპობრივად გაგაცნობთ“.



**ილია მარტყოფლიშვილი**

# ლაშა ბექაურის სახელობის ძიუდოს დარბაზის მშენებლობა იწყება

„არხილოსკალოში ლაშა ბექაურის სახელობის ძიუდოს დარბაზის მშენებლობა იწყება“-ამის შესახებ ინფორმაციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ავრცელებს.

„სოფელში არსებული კულტურის სახლის უფუნქციო და დამწვარი ძველი შენობის დემონტაჟი უკვე განხორციელდა. ძიუდოს დარბაზის პროექტის მომზადება მიმდინარეობს და მუნიციპალური განვითარების ფონდი, დაახლოებით, ორ თვეში სამშენებლო სამუშაოებს და პრემიერის დანაპირების შესრულებას დაიწყებს“ - აცხადებს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.







შეგახსენებთ, რომ გასული წლის აგვისტოში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არხილოსკალოს სტუმრობდა. მან ლაშა ბექაურს კიდევ ერთხელ მიულოცა ოლიმპიური ოქროს მოპოვება და მის მშობლიურ სოფელში ლაშას სახელობის ძიუდოს დარბაზის აშენება დააანონსა.

მისი განცხადებით, ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ძიუდოს დარბაზი ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის განვითარებას და პოპულარიზაციას.

# შიდა უთანხმოება და მზადება შემოდგომის აქციებისთვის – ოპოზიციას „ოცნებასთან“ თანამშრომლობას ურჩევენ

***ოპოზიციამ შემოდგომაზე მასშტაბური აქციები დააანონსა, თუმცა ამ ეტაპზე პროტესტის ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით შიდა უთანხმოება აქვთ. ამის შესახებ „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია აცხადებს. „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე კი „ფეისბუქზე“ წერს, რომ მზად არიან მხარდამჭერებისაგან ნებისმიერი დახმარების მისაღებად, იქნება ეს რჩევები, თუ ფინანსური დახმარება. ანალიტიკოსი და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კი აცხადებს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის უთანხმოება შესაძლოა მხოლოდ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა-არათანამშრომლობის საკითხს უკავშირდებოდეს. აქედან გამომდინარე, იგი ოპოზიციას მმართველ პარტიასთან თანამშრომლობას ურჩევს.***

„დიდი ალბათობით, შესაძლოა, დაპირისპირება მიმდინარეობდეს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდნენ ამ მხრივ. მე რომ ოპოზიციაში ვყოფილიყავი, ვიტყოდი, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს თანამშრომლობა, რადგან აქ გველოდება მესამე მხარე, ანუ ევროკავშირი. უნდა მივაწოდოთ ისეთი დოკუმენტი, როგორიც მათთვის არის მისაღები. მთავარია, როგორმე თავი შევყოთ ევროკავშირის გაწევრიანების პროცედურაში, ანუ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. შესაძლოა, ამაზე მიდის დავა, თუ როგორ მოხდება თანამშრომლობა „ოცნებასთან”. არის ხალხი, ვინც ამბობს, რომ არ ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან. მე მესმის მათი, მაგრამ არ ვეთანხმები. დღეს არ არის აქ „ოცნების” დრო, დღეს საქართველოსა და ევროკავშირის დროა. ოპოზიციაში საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ ბრიუსელთან. ყველას უნდა ჰქონდეს კონსულტაციები, რომ საჭიროა მეტი თანამშრომლობა”, - აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

„არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციაში ჰქონდეთ გაწერილი გეგმა, მაგრამ საჭიროა თანამშრომლობა ხელისუფლებასთან, რადგან შემდეგ „ოცნებამ“ მათ არ დააბრალოს პროცესის ჩავარდნა. ამიტომ საჭიროა ხელისუფლებასთან მეტი თანამშრომლობა, მერე რამე რომ არ დაბრალდეს ოპოზიციას, რასაც შემდეგ დააჯერებენ ამომრჩეველსაც. თუ ოპოზიცია შემოდგომით გეგმავს მასობრივ გამოსვლებს, მე ვერ ვხედავ ამ განწყობებს საზოგადოებაში. დღეს ოპოზიციისთვის მთავარი ამოცანაა, მაქსიმალურად შეეცადონ მათ არ დაბრალდეს ის უმსგავსობა, რასაც “ოცნება” ჩაიდენს. ისინი გააკეთებენ ყველაფერს, რომ არ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი, მათ არაფერში სჭირდებათ დემოკრატია, მაგრამ თან ცდილობენ, რომ სხვას დააბრალონ ეს, რათა არ დაკარგონ ხმები და არ წააგონ არჩევნები”, - დაასკვნის ზაქარეიშვილი.

ელენე ხოშტარიას განცხადებით, ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციები მიმდინარეობს, რათა მოსახლეობის წინაშე საერთო გეგმით წარდგნენ. „ჩვენ პარტიებთან გვაქვს კონსულტაციები, თუ რა საერთო გეგმით წარვდგეთ საზოგადოების წინაშე და შევთავაზოთ სამოქმედო გეგმა. კონკრეტულად რა ფორმის იქნება ეს სამოქმედო გეგმა და რა ნაბიჯებს გადავდგამთ, ამაზე ჩვენ ყველა შევჯერდებით. ჩემი ღრმა რწმენით, დაუმორჩილებლობა ოლიგარქიასთან ბრძოლის განუყოფელი ნაწილია და ამ დაუმორჩილებლობის მშვიდობიანი პროტესტის გაწერილი გეგმა არის ის აუცილებლობა, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე დგას. სტრატეგია არის მრავალმხრივი - საერთო მუშაობის საგარეო პოლიტიკა, მხილების სტრატეგია, ხალხის კონსოლიდაციის, დაუმორჩილებლობის და პროტესტის სტრატეგია. ოპოზიციის ვალია, შევჯერდეთ, ხალხს ნუ მოვასმენინებთ ჩვენს შიდა უთანხმოებებს და საერთო გეგმით წარვდგეთ იმისთვის, რომ გავთავისუფლდეთ ოლიგარქისგან და მივიღოთ ევროპული პერსპექტივა“, - განაცხადა ხოშტარიამ.

„გირჩის” ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ასევე ადასტურებს, რომ ოპიოზიციაში საერთო გეგმაზე მუშაობა მიდის და თავის მხარდამჭერებს დახმარებისათვის მიმართავს.

# ვინ ეძებს თავშესაფარს საქართველოში?

**3 თვეში საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად უცხო ქვეყნის 441 მოქალაქე დარეგისტრირდა, საიდანაც 242 პირი უკრაინის მოქალაქეა, 34 კი რუსეთის – ამავე პერიოდში, საქართველოდან 53 პირი გააძევეს.**

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საქართველოში როგორც თავშესაფრის მაძიებელთა, ისე ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა.

კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სამ თვეში (აპრილი, მაისი, ივნისი) საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად უცხო ქვეყნის 441 მოქალაქე დარეგისტრირდა, საიდანაც ყველაზე მეტი - 242 პირი უკრაინის მოქალაქეა. რეგისტრირებულ თავშესაფრის მაძიებელთაგან 34 არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე; ირანის - 48, თურქეთის - 44; ეგვიპტის - 11.

რაც შეეხება ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას, 2022 წლის მეორე კვარტალში ეს სტატუსი უცხო ქვეყნის სულ 201-მა მოქალაქემ მიიღო, მათგან ყველაზე მეტი 185 პირი უკრაინის მოქალაქეა; ავღანეთის - 7; იემენის - 3; სირიის - 3. ამ პერიოდში ჰუმანიტარული სტატუსი რუსეთის არცერთ მოქალაქეს მიუღია.

აღნიშნულ სამ თვეში ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა უცხო ქვეყნის სულ 8 მოქალაქეს, მათ შორისაა ავღანეთის - 4; ეგვიპტის - 1; სირიის 1 და დაუდგენელი მოქალაქეობის 2 პირი. სტატუსის მინიჭებაზე მოცემულ პერიოდში უარი ეთქვა უცხო ქვეყნის სულ 238 მოქალაქეს, მათ შორის რუსეთის - 13; ირანის - 97; იორდანიის - 38; ერაყის - 20 და თურქეთის - 19 მოქალაქეს. სამ თვეში საქართველოდან სხვა ქვეყნის სულ 53 მოქალაქე გააძევეს, მათ შორის - აზერბაიჯანის - 9; რუსეთის - 2; ირანის - 9 და თურქეთის 5 მოქალაქეა.

რაც შეეხება პირველი კვარტლის მონაცემებს, შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში (იანვარი - მარტი) საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად უცხო ქვეყნის 364 მოქალაქე იყო რეგისტრირებული, საიდანაც ყველაზე მეტი - 126 ადამიანი უკრაინის, ხოლო 21 - რუსეთის მოქალაქეა. თავშესაფრის მაძიებელთაგან წლის პირველ კვარტალში ჰუმანიტარული სტატუსი სულ 51-მა პირმა მიიღო, მათგან უკრაინის 13-მა და რუსეთის არცერთმა მოქალაქემ, ასევე ავღანეთის 21-მა და იემენის 7-მა მოქალაქემ.

ლტოლვილის სტატუსი მოცემულ პერიოდში არც უკრაინის და არც რუსეთის მოქალაქეებს არ მინიჭებიათ. ეს სტატუსი უცხო ქვეყნის სულ 9 მოქალაქემ მიიღო, მათ შორის არიან ეგვიპტის, ავღანეთის, პაკისტანისა და თურქეთის მოქალაქეები.



**საერთაშორისო დაცვის რა ფორმები არსებობს საქართველოში?**

საქართველოში არსებობს საერთაშორისო დაცვის შემდეგი ფორმები:

- **ლტოლვილის სტატუსი;**
- **ჰუმანიტარული სტატუსი;**
- **დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.**

* **ლტოლვილის სტატუსი** ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

***ჰუმანიტარული სტატუსი** კი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პირობებს და აკმაყოფილებს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს: იძულებული იყო დატოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა ძალადობის, გარე აგრესიის, ოკუპაციის, შიგა კონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევის გამო; სამართლებრივი საფუძვლების, კერძოდ, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების გამო არ შეიძლება იძულებით დაბრუნებულ იქნეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში და რომელსაც არ შეუძლია გაემგზავროს სხვა ქვეყანაში; წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება სერიოზული საფრთხე შეექმნას მის სიცოცხლეს ან დაირღვეს მისი უფლებები.

***დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს** სამინისტრო ანიჭებს მასობრივად შემოსულ პირებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებენ და არ შეუძლიათ საკუთარ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება განურჩეველი ძალადობის, აგრესიის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

ჰუმანიტარული სტატუსი და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი პირს 1 წლის ვადით ენიჭება. ეს სტატუსი შეიძლება განახანგრძლივდეს სამინისტროს გადაწყვეტილებით, იმავე ვადით, არაერთგზის.

საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლის ან ყოფნის შემთხვევაში უცხოელმა ან მოქალაქეობის არმქონე პირმა, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაბამისი სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებით.

თავშესაფრის მიღების მოთხოვნით თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას, თავშესაფრის მაძიებელს უტარდება პირველადი ანკეტირება და გასაუბრება, თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს მოითხოვოს სასურველი სქესის თარჯიმანი. თავშესაფრის მინიჭების პროცედურა არის უფასო და კონფიდენციალური.

სამინისტროში განცხადება საერთაშორისო დაცვაზე განიხილება რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 9 თვემდე.

განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭების თაობაზე და გასცემს შესაბამის ცნობას. სტატუსი არის გარანტი იმისა, რომ პირი არ იქნება გაძევებული ან დაბრუნებული თავისი წარმოშობის ქვეყანაში, ან იმ ქვეყანაში, სადაც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. გასაჩივრების პროცესში თავშესაფრის მაძიებელ პირს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს იურიდიული დახმარების სამსახურს და მოითხოვოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნა.

თუ თავშესაფრის მაძიებელს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა, ან პირს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი შეუწყდა, გაუუქმდა ან ჩამოერთვა, ამასთანავე, შეუძლებელია მისი გაძევება წარმოშობის ქვეყანაში, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მას შეიძლება მიეცეს საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თავშესაფრის მაძიებელი შესაძლებელია განთავსდეს სამინისტროს მიერ თავშესაფრის მაძიებელთათვის გამოყოფილ დროებითი განთავსების ადგილს - დროებითი განთავსების მიმღებ ცენტრში, მიმღებ ცენტრში პირის განთავსების ვადა დამოკიდებულია მისი საქმის განხილვასთან დაკავშირებული თავშესაფრის პროცედურის ხანგრძლივობაზე.

**სტატუსის მქონე პირები უფლებამოსილნი არიან საქართველოს მოქალაქეების მსგავსად ისარგებლონ დასაქმებისა და განათლების უფლებით, ასევე სამედიცინო დახმარებით, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან გადაადგილების თავისუფლებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.**



**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# საქართველო საწვავის გაიაფების მუდმივ მოლოდინში ...

*„საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით და 2022 წლის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ საავტომობილო საწვავის ბაზარზე მოკვლევა დაიწყო“-ამის შესახებ ინფორმაციას თავად სააგენტო ავრცელებს. მოკვლევის მიზანია - საწვავის ბაზარზე მსხვილი რეალიზატორების მხრიდან, კონკურენტული ქცევის შესწავლა და მისი თავსებადობა კონკურენციის კანონმდებლობასთან.*



▶ „2022 წლის 7 თვის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, რუსეთიდან იმპორტირებული საწვავის შემთხვევაში იმპორტის დონეზე და რუმინეთიდან იმპორტირებული საწვავის შემთხვევაში საბაჟო საწყობის თვითღირებულების გათვალისწინებით კონკრეტულ კომპანიებს ფასში კონკურენტული უპირატესობა გააჩნდათ, თუმცა აღნიშნულის ასახვა საცალო ბაზარზე სათანადოდ არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ფიქსირდებოდა ნავთობზე საერთაშორისო ფასების კლება და ეროვნული ვალუტის კურსის გამყარების ტენდენციაც“ - აღნიშნულია მონიტორინგის ანგარიშში.

შეფასების მიხედვით, მსგავსი ტენდენციები მიმდინარე წლის მარტი-აპრილის პერიოდშიც დაფიქსირდა, თუმცა, მაშინ ეს მსოფლიო ბაზარზე და რეგიონში არსებული არასტაბილურობით იქნა ახსნილი. კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგი ამ შეფასებით უკვე დაიხურა და სააგენტო მოკვლევის ეტაპზე გადავიდა, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან შეკითხვებს - ირღვევა თუ არა კონკურენციის კანონმდებლობა მსხვილი კომპანიების მხრიდან, ზემოქმედებენ თუ არა შეთანხმებულად ფასებზე და რამდენად არის მომხმარებელთან მიმართებაში მათი ქცევა კეთილსინდისიერი.

ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წლის ივნის-ივლისში, რუსეთიდან იმპორტირებულ საწვავზე მარჟა 78-53 თეთრი იყო, რუმინული საწვავის შემთხვევაში კი საბაჟო საწყობიდან, დაახლოებით, 73-94 თეთრით იაფად ხდებოდა სხვა მოვაჭრეებზე საწვავის რეალიზაცია, ვიდრე ეს საკუთარ ქსელში შედიოდა. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოკვლევის ფარგლებში - დარღვევის დადგენის შემთხვევაში, საჯარიმო სანქციები განისაზღვრება. ასევე, ბაზრის გაჯანსაღების და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციები დამუშავდება.

მიმდინარე წელს, კონკურენციის სააგენტომ ერთი მოკვლევა დაასრულა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე, რაც არ დადასტურდა. ამ დროისთვის, მიმდინარეობს 3 მოკვლევა - დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების,სახელმწიფო უწყების მხრიდან კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტზე. მიმდინარე წელს, დასრულდა ფარმაციის ბაზრის მონიტორინგი და 13 რეკომენდაცია გაიცა. ამ დროისთვის, მიმდინარეობს 2 მონიტორინგი - შუშის ნარჩენების და საავტომობილო საწვავის - ბუნებრივი/თხევადი აირის ბაზრის მიმართულებით“, - აღნიშნულია სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## რა ხდება მსოფლიო ნავთობის ბაზარზე?

კვირის დასაწყისიდან მოყოლებული კი, მსოფლიო ბაზარზე ნავთობი ისევ იაფდება. შემცირდა ფასები როგორც Brent-ის (Brent არის შედარებით მსუბუქი ნედლი ნავთობის სახელი, რომელიც მიიღება ჩრდილოეთის ზღვის 19 ნავთობის საბადოდან ნედლი ნავთობის ნარევიდან. Brent Crude არის ბარელზე ნედლი ნავთობის ფასების სამი ძირითადი ნიშნულიდან ერთ-ერთი, West Texas Intermediate (WTI) ჩრდილოეთ ამერიკიდან და Dubai Crude სპარსეთის ყურიდან), ასევე WTI-ის (West Texas Intermediate (WTI) არის მსუბუქი, ნედლი ნავთობი, რომელიც არის ერთ-ერთი მთავარი გლობალური ნავთობის ინდიკატორი. იგი მიიღება ძირითადად ტეხასიდან და არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი ხარისხის ზეთი, რომლის დახვეწაც ადვილია. WTI არის NYMEX-ის ნავთობის ფიუჩერსული კონტრაქტის ძირითადი საქონელი) ტიპის საწვავზე.

Brent-ის ტიპის საწვავი ბარელზე 96,64 დოლარი ღირს. ამერიკული ნედლი ნავთობის WTI-ის ფასი ამ დროისთვის 90,71 დოლარს შეადგენს ბარელზე. ფასების კლების ერთ-ერთი მიზეზი „ოპეკ+“-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვითაც სექტემბრიდან წევრი ქვეყნები ნავთობის წარმოებას მცირედით,მაგრამ მაინც გაზრდიან.

2022 წლის 16 აგვისტოს ვაჭრობის შედეგებით მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზეც შემცირდა ნავთობის ფასი. კერძოდ, ლონდონში Inter Continental Exchange Futures Europe-ზე (ICE Futures Europe)-Brent ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 92.34 (-2.76) დოლარი/ბარელზე. ნიუ-იორკში York Mercantile Exchange-ზე (NYMEX) - Light Sweet ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 86.53 ( - 2,88) დოლარი/ბარელზე.

2022 წლის 15 აგვისტოს მონაცემებით, ბენზინის საშუალო ფასი მთელს მსოფლიოში 1.37 აშშ დოლარია ლიტრზე. თუმცა, ქვეყნებს შორის ამ ფასებში არსებითი განსხვავებაა. როგორც წესი, მდიდარ ქვეყნებს უფრო მაღალი ფასები აქვთ, ხოლო ღარიბ ქვეყნებს და ნავთობის მწარმოებელ და ექსპორტირებულ ქვეყნებს მნიშვნელოვნად დაბალი ფასები აქვთ. ერთი თვალსაჩინო გამონაკლისია აშშ, რომელიც ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა, მაგრამ გაზის დაბალი ფასები აქვს. ქვეყნებში ფასების სხვაობა გამოწვეულია ბენზინის სხვადასხვა გადასახადებითა და სუბსიდიებით. ყველა ქვეყანას აქვს წვდომა ნავთობის ერთსა და იმავე ფასებზე საერთაშორისო ბაზრებზე, მაგრამ შემდეგ თვითონ კონკრეტული ქვეყანა გადაწყვეტს სხვადასხვა გადასახადების დაწესებას. შედეგად, ბენზინის საცალო ფასი განსხვავებულია. საქართველო ბენზინის სიძვირით 87-ე ადგილზეა მსოფლიოში. მსოფლიოში ყველაზე იაფი საწვავი ვენესუელაშია, სადაც სახელმწიფო სუბსიდიის გამო, ლიტრი პრემიუმის მარკის ბენზინი 8 თეთრი ღირს, ყველაზე ძვირადღირებული საწვავი კი ჰონგ-კონგშია, სადაც მისი ღირებულება 9 ლარს აჭარბებს.

პ.ს ინფორმაციისთვის, გასულ კვირას, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრები, კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელთან ერთად, საწვავის მსხვილ რეალიზატორებს შეხვდნენ და ბაზარზე არსებული ვითარება, სააგენტოს მონიტორინგის ანგარიში და ფასის შემცირების მოსალოდნელი ტენდენციები განიხილეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აგვისტოში ყველა ტიპის საწვავზე ფასის 20-30 თეთრიანი კლება მოსალოდნელი. დრო გვაჩვენებს, კიდევ რამდენი ხანი დაელოდება საქართველო საწვავის გაიაფებას და როდის აისახება ეს მომხმარებლის ფინანსებზე.

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

საწვავის საერთაშორისო და ადგილობრივი ფასები 2014-2022 წლებში, წითელი - რეგულარის მარკის ბენზინის ფასი ლარებში, მწვანე - ბარელი ნავთობის საერთაშორისო ფასი ლარებში:



# კლუბი ჩემპიონი — 30

დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“ 30 წლის გახდა. მე კი მათი მეგობარი და გულშემატკივარი 20 წელია ვარ. დღემდე მახსოვს მათი გაცნობა და პირველი სტატია. 2002 წელს, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ვიყავი, ჩემი პირველი სამსახური ჟურნალი „თბილისელები“ იყო. იმხანად, ინტერნეტი არ არსებობდა, ამიტომ ჟურნალი პოპულარობის პიკში გახლდათ და ასეთ ჟურნალებზე მოთხოვნა დიდი იყო. ერთხელაც, ბავშვობის მეგობარი, დათო ქადაგიძე, რომელიც ამ კლუბში ვარჯიშობდა, მეუბნება, რომ მწვრთნელს ჩემთან შეხვედრა სურს. სპორტი და ეკონომიკა ის საკითხები იყო, რომელიც არასოდეს მაინტერესებდა, რატომღაც ვთვლიდი, რომ ამ თემებზე საგაზეთო სტატიებს ვერ მოვამზადებდი, თუმცა, გუნდის გასაცნობად მაინც წავედი. ვინც თამაზ ყარაგვეზაშვილს იცნობს, მიხვდება, რა გავლენას მოახდენდა ჩემზე მასთან პირველი შეხვედრა და დიალოგი. როგორი ენთუზიაზმით ისაუბრებდა ის ჟურნალისტთან სპორტის ამ სახეობასა თუ მათ მიერ მიღწეულ შედეგებზე. ჩემთვის ე.წ. „გაერთიანების“ შენობის პირველ სართულზე მოწყობილ დარბაზში შესვლაც ემოციური და საინტერესო გამოდგა. დარბაზი პირობითად ერქვა, თორემ ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ გუნდმა რთული წლები გაიარა და სავარჯიშო ინვენტარი თითქმის არ ჰქონდათ. თვითონ იგონებდნენ და ქმნიდნენ საჭირო პირობებს. უდიდეს შედეგებს ცარიელი ხელებით დებდნენ. ყველაზე არასპორტულ ადამიანს სწორედ თამაზის საუბარმა გამიჩინა ინტერესი.

ვინაიდან ჟურნალი „თბილისელები“ ყვითელი ფორმატის გამოცემაა და მყვირალა სათაურები უყვართ, ჩემს მიერ მათზე მომზადებული მასალა აუცილებლად რომ დაბეჭდილიყო, ხრიკს მივმართე: აქცენტი ელენე ბოლაშვილზე გავაკეთე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი რამდენიმე თვით ადრე გახდა. თუ სტატიაში ხაზს იმას გავუსვამდი, რომ პირველი ქართველი მოკრივე გოგონა ელენე ბოლაშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა და პრეცედენტი შექმნა, ეს იმის გარანტიას ქმნიდა, რომ ინტერვიუ შემოკლების გარეშე, აუცილებლად გამოქვეყნდებოდა. ჩანაფიქრმა გაამართლა. ერთგვერდიანი სტატია, ელენეს და თამაზის ინტერვიუებით ჟურნალში დაიბეჭდა. მას შემდეგ დავმეგობრდით და ხშირად ვკონტაქტობდით. ბევრ გამოცემაში დავბეჭდე მათ შესახებ, 2003 წელს დედოფლისწყაროს ანძიდან ადგილობრივი ტელეგადაცემების მომზადებაშიც აქტიურად ვთანამშრომლობდით. უშუქობაში, გენერატორზე და რთულ პირობებში ვამზადებდით რაიონულ ტელეგადაცემებს და თამაზიც გვერდით გვედგა. 10 წლის შემდეგ იყო „ობიექტივი“, მათი წარდგენა კიდევ უფრო ფართო მასების წინაშე. შემდეგ თამაზს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა, ამ ფაქტით რაიონმა მის მიმართ ყურადღება გამოხატა. იშვიათი გამონაკლისების გარდა, თამაზის სპორტსმენები თითქმის მუდმივად იმარჯვებენ. ამ ხნის მანძილზე ყოველთვის გვანებივრებდნენ საზღვარგარეთ წარმატებული მოგზაურობებითა და მიღწევებით. რაიონში ჩატარებული ბრძოლების უმრავლესობაც „ჩემპიონელების“ გამარჯვებით სრულდებოდა. წლების მანძილზე ყოველთვის მაოცებს ისიც, რომ მწვრთნელმა ზუსტად იცის, რა უნდა ჟურნალისტს, როგორ დაიწეროს საგაზეთო სტატია, ან რა უნდა გაკეთდეს მათი წარმატებების ასახვისთვის. თითქმის ყოველთვის ახერხებდა, დარბაზში შემთხვევით მოხვედრილი ახალგაზრდებისთვის ეს სახეობა ისე შეეყვარებინა და ყველაფერი ისეთი კუთხით დაენახებინა, რომ ინტერესი გაღვივებოდა და მისგან ჩემპიონი დამდგარიყო.

გილოცავთ მრგვალ თარიღს და კვლავაც წარმატებებს ველით თქვენგან! უპირობოდ!

ილია მარტყოფლიშვილი

***6 აგვისტოს ქალაქ დედოფლისწყაროში კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“-ს 30 წლისთავთან დაკავშირებული ჩემპიონატი „რინგის რაინდები“ გაიმართა. საიუბილეო ჩემპიონატი და საზეიმო კონცერტი მაყურებლების ოვაციების ფონზე მიმდინარეობდა. უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი კიკბოქსინგის რინგის გარშემო. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჩემპიონატი დედოფლისწყაროელთა გუნდური გამარჯვებით დასრულდა. ჩემპიონატის მთავარი ბრძოლის „რინგის რაინდი 2022“-ს ტიტული ამჯერად დედოფლისწყაროელმა ლევან წიკლაურმა მოიპოვა!***





ვეტერანმა სპორტსმენებმა გიორგი ლეკაშვილმა და ვალერი ტოკლიკიშვილმა მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი იაპონური ხმლით დააჯილდოვეს. ისინი რინგზე „ჩემპიონის“ პირველი თაობის სახელით ავიდნენ და კლუბის შექმნის პირველი ნაბიჯები გაიხსენეს.

ჩემპიონატის მსვლელობას უძღვებოდა ცნობილი მსახიობი და კინოხმა ზვიად დოლიძე. მისი პოპულარული ხმის ტემბრი ჩემპიონატს განსაკუთრებულ ეფექტს მატებდა. ღონისძიების კულტურულ ნაწილს კი უძღვებოდა ქალბატონი ცარო მარტიაშვილი. ბრძოლებს შორის კულტურის სახლის მიერ მომზადებული საკონცერტო ნომრები ენაცვლებოდა, რითაც მონაწილეებმა კლუბს იუბილე მიულოცეს.

ჩემპიონატის გამარჯვებული დედოფლისწყაროელები არიან:

ლაშა ჭუბაბრია (დ.წყარო) **ნიზად ისაევი** (გარდაბანი)

გიორგი გულაშვილი (დ.წყარო) **ფარელ ჯამალოვი** (მარნეული)

ლუკა ტუმასიანი (დ.წყარო) **სანან ასლანოვი** (მარნეული)

ილია ხატიაშვილი (დ.წყარო) **ნამაზ ჰუსეინოვი** (მარნეული)

ალექსანდრე ცხოვრებაძე (დ.წყარო) **ზაზა ოტიაშვილი** (სიღნაღი)

ლევან წიკლაური (დ.წყარო) **ლუკა მეტრეველი** (რუსთავი).

„30 წლის იუბილესთან დაკავშირებით პირველი თაობის კიკბოქსიორებმა მე და ვალერი ტოკლიკიშვილმა ჩვენი მეგობრების სახელითაც გადავწყვიტეთ, რომ თამაზ ყარაგვეზაშვილისთვის მიგვერთმია ისეთი საჩუქარი, ანუ იაპონური ხმალი კატანა,რომელიც არის სიმბოლო ვაჟკაცობის, გაუტეხელობის და გამარჯვების!“ – განუცხადა „შირაქს“ გიორგი ლეკაშვილმა.

თამაზ ყარაგვეზაშვილი: „საერთაშორისო მასშტაბის ჩემპიონატი იყო დაგეგმილი. რადგან ტრაგედიის გამო გადაიდო, შემდეგ უკვე სხვა პრობლემები წარმოიშვა და საზღვარგარეთიდან ჩამოსვლა ველარ მოხერხდა. აზერბაიჯანი და ირანი მზად იყვნენ ჩამოსასვლელად, თუმცა, საზღვარი ჩაიკეტა და ვერ შეძლეს. სომხეთის სპორტსმენები მწვრთნელის კოვიდ ინფიცირების გამო ვერ ჩამოვიდნენ. ბევრი შრომა და ენერგია ჩავდეთ, რომ მრგვალი თარიღი დასამახსოვრებელი და საინტერესო ყოფილიყო.

„რინგის რაინდების“ მთავარი ბრძოლა დედოფლისწყაროელ ლევან წიკლაურსა და რუსთაველ ლუკა მეტრეველს შორის შედგა. მართლაც შთამბეჭდავი ორთაბრძოლა გვაჩვენეს. ხუთი რაუნდის განმავლობაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ორივე ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენია და ეს იგრძნობოდა. ბოლოს მაინც იმარჯვა გამოცდილმა და ტიტულოვანმა ლევან წიკლაურმა და ღირსეული მეტოქე ქულებით დაამარცხა. ასევე გამოირჩეოდა დედოფლისწყაროელი ლუკა ტუმასიანის მარნეულელ მეტოქესთან შეხვედრა. პირველი რაუნდი დაძაბულ, დინამიურ ტემპში ჩაატარეს. შემდეგ კი ლუკამ იმარჯვა და ბრძოლა თავის სასარგებლოდ წარმართა, რამაც დამატებითი ქულები მოუტანა. მესამე რაუნდში კი მარნეულის მწვრთნელმა რინგზე პირსახოცი გადმოაგდო, რაც დანებებას და ბრძოლის შეწყვეტას ნიშნავს. დინამიური და შთამბეჭდავი იყო ჩვენი მებრძოლის, ილია ხატიაშვილის ასპარეზობა. სამივე რაუნდი დაძაბული და ემოციური გამოდგა და გამარჯვებაც ილიას ერგო.

ასევე გამოვარჩევდი ალექსანდრე ცხოვრებაძეს და მის ორთაბრძოლას. ჩვენი გუნდის ერთ -ერთი საუკეთესო სპორტსმენია, მოგებული აქვს მრავალი საერთაშორისო ტურნირი და არის მრავალგზის საქართველოს ჩემპიონი. ამჟამად საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეა, მონაწილეობა მიღებული აქვს ავღანეთის სამშვიდობო მისიებში, მაგრამ კიკბოქსინგის ვარჯიშებისთვის დროს პოულობს და მუდამ ფორმაშია, რაც ნათლად ჩანდა ახლაც. მან აშკარა უპირატესობით დაამარცხა ღირსეული მეტოქე.



გუნდში გვყავს პერსპექტიული ბავშვები, რაც მახარებს და სამომავლოდ, იმედია, კარგ შედეგს გვაჩვენებენ.. მათ შორისაა 13 წლის ლაშა ჭუბაბრია. ლაშას აქვს ყველა მონაცემი დიდი სპორტისთვის. თვითონაც შრომისმოყვარეა, დამჯერია და ყველა რჩევა- დარიგებას პირნათლად ასრულებს. შეჯიბრისთვის მისი წონითი კატეგორიის მეტოქე ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა და ავწიეთ ზედა კატეგორიაში, მაგრამ ლაშამ აქაც მისთვის დასახულ ამოცანას პირნათლად გაართვა თავი და მეტოქე ქულებით დაამარცხა.

63 კგ. წონით კატეგორიაში დედოფლისწყაროს ჭაბუკების გუნდში ერთ- ერთი ლიდერია გიორგი გულაშვილი. გიორგიმ წელს სხვადასხვა რესპუბლიკურ ტურნირებში გამარჯვება მოიპოვა. მათ შორის 17 ივნისს ჩვენს რაიონში ჩატარებული „ხორნაბუჯის თასი“-ს შეჯიბრზეც გვასახელა. ორი ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით დაასრულა. 6 აგვისტოს შეჯიბრი „რინგის რაინდები“ გიორგიმ დაძაბულად ჩაატარა და მარნეულელ ჯამალოვს არცერთი რაუნდის მოგების შანსი არ დაუტოვა. მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება დედოფლისწყაროელ გიორგი გულაშვილს.

რაც შეეხება გუნდის წევრებს, ბექა ნაროზაულს და მიხეილ ბაღდასარიანს, რომლებიც ამ შეჯიბრზე ქულებით დამარცხდნენ. ორივე ძალიან კარგი სპორტსმენია, მრავალჯერ ასახელეს ჩვენი მუნიციპალიტეტი სხვადასხვა რანგის ტურნირებზე. სამწუხაროდ, აღნიშნული შეჯიბრისთვის ორივე სპორტსმენი ვერ ახერხებდა სრულფასოვან ვარჯიშს სხვადასხვა მიზეზების გამო და შედეგზეც აისახა. თუმცა, ორივემ მაქსიმუმი გააკეთა და ისეთი შემართებით და ვაჟკაცობით იბრძოლა, რომ მაყურებელი აღფრთოვანებაში მოიყვანა. მადლობა მათ ასეთი პასუხისმგებლობისთვის გულშემატკივართა წინაშე.“

ლევან წიკლაური: „ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირი იყო როგორც ჩემთვის, ისე რაიონისთვის, რადგან ტრადიციად გვაქვს ამ ტიპის შეჯიბრებების აქ ჩატარება. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რამდენად კარგად გამოვალ სხვა ქვეყნებში სხვადასხვა დონის ტურნირებზე, მაგრამ ჩემს რაიონში ყოველთვის უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და აქ ყოველთვის ვცდილობ, მაქსიმუმი გავაკეთო, რადგან ყველაზე მეტი კრიტიკაც და სიხარულიც ჩემი ხალხიდან მოდის. ჩემს რაიონში ყველამ იცის, რომ ვვარჯიშობ, ყოველდღე ასობით ადამიანს ვხვდები, ზოგს ვარჯიშის პერიოდში. ყველასგან ვგრძნობ დადებით ენერგიას. რა შემიძლია ვთქვა ჩემს მოწინააღმდეგეზე, ის ახალგაზრდა და ძალიან პერსპექტიული სპორტსმენია, ეს ჩვენს შორის უკვე მეორე შეხვედრა იყო, 3 წლის წინ როდესაც იგი გახდა სრულწლოვანი, საქართველოს ჩემპიონატზე შევხვდით ფინალურ ბრძოლაში. ჩემი გამოცდილების ხარჯზე მოვახერხე გამარჯვების მოპოვება მაშინაც და ახლაც, მაგრამ ნამდვილად იმსახურებს ქებას ლუკა, სწორედ რომ ტურნირის სახელწოდებიდან გამომდინარე, მან რაინდული ბრძოლა გამართა და ყველა უკლებლივ დარჩა კმაყოფილი ამ სანახაობით. როგორც მე ვვარჯიშობ ყოველდღე თავდაუზოგავად, ისიც ასევე თითით საჩვენებელია რუსთავში, ისიც თავს არ ზოგავს, სწორედ ამიტომ გამოვიდა ჩვენი ბრძოლა ემოციური.

ლაშა ჭუბაბრია: „სპორტი ძალიან მიყვარს და სახლშიც ბევრს ვვარჯიშობ. პირველად კიკბოქსინგზე ვარჯიშის გამო შევედი, მაგრამ მწვრთნელი ამბობდა, რომ მონდომებული და მიზანდასახული ვარ, ამიტომ სერიზულად უნდა გამეგრძელებინა მომზადება. 3-4 წელია ამ კლუბში დავდივარ და აქ ყოველი დღე საინტერესოა. წელს რუსთავის მერიის თასიც მოვიგე. ახლა კი ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩემს ქალაქში გამართულ ჩემპიონატზე გამარჯვება მომეპოვებინა. საბედნიეროდ, მეტოქის დამარცხება შევძელი.“

ილია მარტყოფლიშვილი

# ულოცავენ



გოჩა ჯავახია (ფედერაციის პრეზიდენტი): „ვულოცავ საიუბილეო თარიღს კლუბ „ჩემპიონს“ და მის დამაარსებელს, თამაზ ყარაგვეზაშვილს, ამ სპორტის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს საქართველოში. როგორც დიდ პატრიოტს, ერთგულ ადამიანს, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულ კაცს. მე ვინატრებდი, რომ ასეთი კადრი ბევრი გვყავდეს საქართველოში, რომ ყველა სფეროში მრავლად იყოს ასეთი პროფესიონალები. მადლობელი ვარ, რომ ცხოვრებაში ასეთ ადამიანთან ურთიერთობისა და მუშაობის შესაძლებლობა მომეცა. თამაზი მართლაც სასწაულებს ახდენს. თავის რეგიონში მან განსაკუთრებული გარემო შექმნა. გამოაცოცხლა, გაახალისა და გაალაღა მომავალი თაობა. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციისთვის ბევრი გააკეთა, რაც დასაფასებელია. კვლავაც წარმატებები მინდა ვუსურვო მომავალშიც და სულ წინსვლა ჰქონოდეს თითოეულ „ჩემპიონელს“. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება და ნაყოფიერი წლები კიდევ წინაა. მჯერა, კიდევ ბევრი დედოფლისწყაროელი გაგვახარებს მსოფლიო ჩემპიონობით და ასახელებს როგორც დედოფლისწყაროს, ისე ჩვენს ქვეყანას“.



გიორგი ლეკაშვილი: „1991 წელს, რამდენიმე ადამიანს პირველად მოგვეცა საშუალება გავცნობოდით და დაგვეწყო ვარჯიში კიკბოქსინგში, რომელიც თავიდან კარატეს ტექნიკის ათვისებას მოიცავდა, ხოლო მოგვიანებით კლასიკური კიკბოქსინგის ვარჯიშით გაგრძელდა და ასე ვთქვათ მოვიწამლეთ. შემდეგ იყო როგორც ადგილობრივი, ისე დსთ-ს ჩემპიონატებზე ჩვენი კლუბის წევრების მონაწილეობა. რამდენიმე საერთაშორისო თუ ადგილობრივი ბრძოლა მაქვს ჩატარებული, მაგრამ დღემდე მთელი სიზუსტით მახსოვს ყოველი მომენტი თუ ეპიზოდი. ეს იმიტომ, რომ იქ ყოველთვის ახლოს იყო ჩვენი მწვრთნელი და ერთგული მეგობარი თამაზ ყარაგვეზაშვილი... ჩემთვის ეს კლუბი და თამაზთან ურთიერთობა ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ კლუბი და მწვრთნელი. იმიტომ რომ, ჩემთვის და სხვა პირველი თაობის კიკბოქსიორებისთვის ეს არის დიდი სპორტული ოჯახი, მის გენიალურ თავკაცთან, თამაზთან, ურთიერთობის სიამოვნება და ის დიდი ცოდნა, პროფესიონალიზმი და ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც უსასყიდლოდ მივიღეთ ამ დიდ ოჯახში. აქ სწავლობდი არამარტო ბრძოლის ხელოვნებას, არამედ ვაჟკაცობას, სიმამაცეს, ერთგულებას, საკუთარ თავზე მუშაობას, სრულყოფილებისაკენ სწრაფვას და სიბრძნის ხელოვნებასაც კი. თანაც იმ პერიოდში ქვეყანაში უძრაობა და რთული ვითარება იყო. დედოფლისწყაროში ამ სახეობის შემოტანას და მასში ახალგაზრდობის ჩაბმას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს, იმიტომ რომ, ბევრი ახალგაზრდა დაადგა ცხოვრებაში სწორ გზას და ფიზიკურად და სულიერად გადარჩა... თამაზისა და აქ მიღებული ცოდნა-გამოცდილების დამსახურებაა, რომ დაახლოებით 15 წლის წინ დავაფუძნე კენდოს (იაპონური ფარიკაობა, ანუ სამურაების სპორტული მიმდინარეობა) ეროვნული ფედერაცია და თბილისის კენდოს კლუბი „სამურაი“, რომელთა პრეზიდენტი ვარ დღემდე და ვაგრძელებ თამაზისგან ნასწავლ საბრძოლო ხელოვნების სიყვარულს და ჩემპიონების აღზრდას“.



ჯიმი ნათელაძე: „ისრაელიდან ვუერთდები მილოცვებს. კიკბოქსინგის გუნდს „ჩემპიონს“ ვულოცავ იუბილეს და მის დამფუძნებელს თამაზ ყარაგვეზაშვილს ვუსურვებ წინსვლასა და წარმატებებს. ძალიან დიდი ღვაწლი და შრომა აქვს ჩადებული გუნდის აღორძინებაში. გახსნის დღიდან მეც დავდიოდი ამ სპორტზე, ძალიან ბევრი ადამიანი დააყენა სწორ გზაზე, სოფელ სამრეკლოში, თუ რაიონში... თამაზი მარტო სპორტს არ გვასწავლიდა, ის სიკეთეს, ვაჟკაცობას, გმირობას და გამტანობას გვინერგავდა. თამაზის ძალისხმევით ბევრმა წარმოაჩინა წარმატებით თავისი თავი საზღვრებს გარეთ, თუ ქვეყნის შიგნით. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც ეს სკოლა გაიარა და ამით დღემდე ვამაყობ“.



არსენა ყარაგვეზაშვილი: „შეუძლებელია მოკლედ შეაჯამო 30 წლის განმავლობაში მოპოვებული წარმატებები. გამარჯვებები და გუნდში შეძენილი თვისებები ბევრს პირად ცხოვრებაშიც გამოადგა. ბევრი ჩამოშორდა ქუჩას და სპორტული ცხოვრება დაიწყო. მე ადრეული ასაკიდან მომიწია გუნდთან შეზრდა. სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებთან ვმეგობრობდი და ვიცი სპორტული ცხოვრების ტკივილიც და სიხარულიც, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული. 30 წლის მანძილზე შეინარჩუნო და ასაზრდოო სპორტული გუნდი მხოლოდ ენთუზიაზმით და სულიერი აღზრდის პრინციპებით, ძალიან ძნელია. იმიტომ, რომ რაიონიდან ახალგაზრდების გადინებაც დიდია და უფროსი ასაკის სპორტსმენი სხვა დამოკიდებულებას ითხოვს. მჯერა, თანდათან მოგვარდება სავარჯიშო ბაზის პრობლემები და ჩვენი სპორტსმენები ახალი შემართებით უკვე ოლიმპიური მწვერვალისკენ გაიკაფავენ გზას. წელს „ჩემპიონი“-ს საიუბილეო წელია. უკვე 30 წელია, რაც დედოფლისწყაროში ჩამოყალიბდა და ახალი სპორტის სახეობა - კიკბოქსინგი. ამ წლების მანძილზე, ელემენტარული პირობების არ ქონის მიუხედავად, თამაზ ყარაგვეზაშვილმა შეძლო და გაზარდა სპორტსმენები, რომლებმაც ყველა რანგის ჩემპიონატებზე, როგორც სამოყვარულო, ისე პროფესიონალური კუთხით გამარჯვებები მოიპოვეს. ჩვენი გუნდის სპორტსმენები წარმატებას აღწევდნენ არა მხოლოდ კიკბოქსინგში, არამედ ტაილანდურ კრივში, ხელჩართულ ორთაბრძოლებში, კრივში, პროფესიონალურ კრივში და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი ქალი მსოფლიო ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში და პირველი მამაკაცი მსოფლიო ჩემპიონი სწორედ ჩვენს გუნდში აღიზარდა. ასევე, ჩვენი აღზრდილია პირველი საქართველოს ჩემპიონი კრივში გოგონათა შორის. საქართველოში ჩატარებული პირველი ჩემპიონატი „ბრძოლა წესების გარეშე“ ჩვენი გუნდის სპორტსმენის გამარჯვებით დასრულდა. გვაქვს მოპოვებული 6 ოქროს მედალი მსოფლიო ჩემპიონატზე, ასევე, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. 2013 წლის შემდეგ მსოფლიო კიკბოქსინგის ორგანიზაციის რეიტინგში „ჩემპიონი“-ს სპორტსმენები იკავებენ წამყვან ადგილებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სპორტის ექსპერტები ჩვენს სპორტსმენებს უმაღლეს შეფასებებს აძლევდნენ.



ნოდარ ცხოვრებაძე: „ბატონო თამაზ, თქვენ ახალგაზრდების, მათ შორის, ჩემი ცხოვრებაც შეცვალეთ. დარბაზში პირველივე შემოსვლის მომენტიდან მივხვდი, რომ არა უბრალოდ სავარჯიშო დარბაზში, არამედ ერთ დიდ ოჯახში მოვედი და მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ასაკის, ეროვნებისა თუ მსოფლმხედველობის ადამიანები დამხვდნენ, თქვენი დამსახურებით, იქ სუფევდა ერთმანეთის პატივისცემა, თანადგომა და სიყვარული. თითოეულ ჩვენგანს მზრუნველი მშობლივით დაგვფოფინებდი თავს. თქვენი დამსახურებაა, რომ სპორტსმენებმა არაერთ საერთაშორისო არენაზე ასახელეს საქართველო და აღმართეს ქართული დროშა. როცა კლუბს უჭირდა (ასეთი პერიოდი სამწუხაროდ ხშირად იყო) თქვენ იყავით ის ადამიანი, რომელიც მომავლის იმედს გვისახავდა, გვაძლევდით მოტივაციას და ხალისს, გვევლო იმ დიდებული მიზნისკენ, რასაც მსოფლიო არენაზე ჩვენი ქვეყნის წარმოჩენა ჰქვია. ცდილობდით გუნდის თითოეული წევრისთვის მიგეწოდებინათ ინფორმაცია ცხოვრებისეულ ღირებულებებზე, დაგვდგომოდით გვერდში პრობლემების მოგვარებაში და ღირსეულ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში. ბრძენი ხალხი ამბობს, რომ დრო არის ყველაფრის საუკეთესო შემფასებელი. თაობათა ცვლამ და თითოეული თაობის წარმომადგენელთა მიერ მიღწეულმა წარმატებებმა ნათლად დაგვანახა, რომ კლუბი „ჩემპიონის“ წარმატებული სვლა განპირობებულია არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდის უნარებით, არამედ თქვენი, როგორც კლუბის „მესაჭის“ დაუღალავი შრომით. რომ არა თქვენ, კლუბი „ჩემპიონი“ და მისი თითოეული თაობის წარმომადგენლები ვერ ვიქნებოდით ისეთები, როგორებიც ვართ. მინდა მოგილოცოთ „ჩემპიონის“ 30 წლის იუბილე და გისურვოთ ჯანმრთელობა და მხნეობა მომავალი წარმატებული თაობების აღსაზრდელად“.

ლევან წიკლაური: „მინდა ყველა სპორტსმენს მივულოცო ჩვენი კლუბის 30 წლის იუბილე. ამ წლების განმავლობაში თითქმის მთელი რაიონის ახალგაზრდობამ გაითავისა ჩემპიონად ყოფნა და ეს ამ გუნდის ხელმძღვანელის, თამაზ ყარაგვეზაშვილის ფასდაუდებელი შრომის შედეგია. ძალიან მიხარია, რადგან შემიძლია ამაყად ვთქვა, რომ დღეს ჩემი კლუბის იუბილეა! ვულოცავ ყველა დედოფლისწყაროელს და სპორტის მოყვარულს ამ ბრწყინვალე დღეს. არაერთ ქვეყანაში სწორედ ამ კლუბის წყალობით იცნობენ ჩვენს რაიონს და იციან, რომ აქ, ამ პატარა ქალაქში დიდი ჩემპიონები იზრდებიან. დედოფლისწყარო ყველგან ჩემპიონების ქალაქად არის ცნობილი. ასე მოგვიხსენიებენ როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ბედნიერებაა, იყო ამ დიდი ისტორიის მქონე გუნდის ღირსეული წევრი და მისი ისტორიის განუყოფელი ნაწილი.

კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ყველას საიუბილეო თარიღი!... დიდი წარმატებები ყველას ერთად!





თეონა ფიროსმანაშვილი „23 წლის ვარ და დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონის“ დამსახურებით ერთ-ერთ წარმატებულ სპორტსმენად ვითვლები. ვარ 2021 წლის საქართველოს ჩემპიონი კრივში. ასევე კიკბოქსინგის ეროვნული ნაკრების წევრი და ვასპარეზობ პროფესიონალურ კრივში. მოხარული ვარ, რომ ჩემი ეს სპორტული წარმატებების გზა დაიწყო გუნდ „ჩემპიონში“. მინდა მივულოცო ჩემს გუნდს და მთელს დედოფლისწყაროს „ჩემპიონის“ 30 წლის იუბილე. თითოეულ წევრს მინდა ვუსურვო წარმატებები და დიდი მწვერვალების დაპყრობა, გუნდს კი უამრავი კარგი სპორტსმენის აღმოჩენა, გაზრდა და წარმატებებისკენ სწრაფვა ისევე, როგორც მე გამზარდეს, შრომა და ენერგია არ დაიშურეს. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოვახერხე წელს თქვენთვის საიუბილეო ჩემპიონატზე ასპარეზობა, მაინც ემოციურად ვადევნებდი თვალს იუბილესადმი მიძღვნილ ტურნირს, რომელიც დედოფლისწყაროში 6 აგვისტოს ჩატარდა. განსაკუთრებით დიდი მადლობა უნდა ვუთხრა „ჩემპიონის“ დამფუძნებელს, ჩვენს მწვრთნელს ბატონ თამაზ ყარაგვეზაშვილს უმაღლესი დონის ტურნირის ორგანიზებისთვის. გილოცავთ კიდევ ერთხელ!

# ქართულ ენას სომხეთის სკოლებში შეასწავლიან

***„მზად ვართ, დავიწყოთ ქართული ენის სწავლების პროცესი სომხეთის ზოგიერთ სკოლაში“,*** — სომხური მედიის ცნობით, ამის შესახებ სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ვაჰრამ დუმანიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ქართული ენის შესწავლა სავალდებულო არ იქნება.

„ჩვენ სულაც არ ვსაუბრობთ მხოლოდ იმ სკოლებზე, რომლებიც მდებარეობს ქვეყნის სასაზღვრო რეგიონებში,” — აღნიშნა დუმანიანმა.

მისი თქმით, დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

## ზელენსკი: ზაპოროჟიეს აეს-ზე შესაძლო ინციდენტი საფრთხეა საქართველოს, ევროკავშირისა და თურქეთისთვის

***უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალების განთავსებით, რუსეთმა სახიფათო ვითარება შექმნა.***

„სადგური, ფაქტობრივად, დანაღმულია“, - განაცხადა მან. „ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე ნებისმიერი რადიაციული ინციდენტი, შესაძლოა, დარტყმა აღმოჩნდეს ევროკავშირის ქვეყნებისთვის, თურქეთისა და საქართველოსთვის, უფრო დაშორებული რეგიონებისთვის. ყველაფერი მხოლოდ ქარის მიმართულებასა და სიძლიერეზეა დამოკიდებული. თუ რუსეთის მოქმედებებით კატასტროფა მოხდება, შედეგები შესაძლოა, მათაც შეეხოთ, ვინც ჯერ ჩუმადაა“, - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. მისი სიტყვებით, აუცილებელია განსჯისა და მოწოდების ეტაპიდან, რუსეთის და მთელი მისი ატომური ინდუსტრიის წინააღმდეგ, მკაცრ სანქციებზე გადასვლა.

„რუსულმა ძალებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ სადგურის და მეზობელი რაიონების ტერიტორია, უპირობოდ“, - დაამატა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა დასძინა, რომ მსოფლიო ათწლეულების განმავლობაში ბირთვული მასალებისა და რადიაციული უსაფრთხოების ყველა აქტივობის სათანადო კონტროლისთვის იბრძოდა.

„თუ მსოფლიოს ახლა ერთი ატომური სადგურის დასაცავად ძალა და გამბედაობა არ ჰყოფნის, ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო აგებს, აგებს ტერორისტებთან, ემორჩილება ბირთვულ შანტაჟს, ეს კი ისეთ პრეცედენტად შეიძლება იქცეს, რომელსაც სხვა ტერორისტები დაინახავენ. ჯერ კიდევ არის ამ მარცხის არდაშვების შანსი“, - დასძინა ზელენსკიმ.

მანამდე, მსოფლიოს 42-მა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, რუსეთს მოუწოდა, გაიყვანოს ჯარები ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიდან.

## გერმანია ამერიკული ნავთობით ანაცვლებს რუსულს

ამ თვეში უკვე მეორედ, ლუიზიანიდან გერმანიის როსტოკის პორტის მიმართულებით ამერიკული ნავთობით დატვირთული მეორე ტანკერი დაიძრა, ინფორმაციას სააგენტო „როიტერსი“ ავრცელებს. ტანკერს, რომლის სახელწოდებაცაა Ise Princess 570, ათასი ბარელი ნავთობი გადააქვს.

ამერიკულმა, ნორვეგიიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და დასავლეთ აფრიკიდან ექსპორტირებულ ნავთობთან ერთად, ევროპაში „Дружба“-ს მილსადენით მიწოდებული რუსული ნავთობი უნდა ჩაანაცვლოს. ევროკავშირი წლის ბოლომდე რუსეთიდან იმპორტირებული ნავთობის 90 პროცენტით შემცირებას აპირებს.

მექსიკის ყურეში მოპოვებული Mars-ის მარკის ნავთობი შემადგენლობით რუსული Urals-ის მსგავსია. აგვისტოს დასაწყისში გერმანიის როსტოკის პორტში შეტანილი ამერიკული ნავთობი Schwedt-ის ნავთობგადამამუშავებელ საწარმოში უკვე შევიდა. საწარმოს უდიდესი წილის მფლობელი რუსული Роснефть-ია. Роснефть-მა გასულ კვირას გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა, რომ გერმანიაში საწვავის ფასები, საზღვაო გზით შემოტანილი ნავთობის მაღალი ფასის გამო, გაიზრდებოდა.

ივნისის დასაწყისიდან აშშ-ში წარმოებული ნავთობის ფასი ბარელზე 122 დოლარიდან 87 დოლარამდე შემცირდა, ხოლო წარმოებამ თითქმის 12 მილიონ ბარელ ნავთობს მიაღწია, რაც 2021 წლის დასაწყისის მაჩვენებელთან შედარებით, 20 პროცენტით მეტია. მიმდინარე წლის ივნისში შეერთებულმა შტატებმა ნავთობის რეკორდული მოცულობის ექსპორტი განახორციელა - დღეში დაახლოებით 3,5 მილიონი ბარელის მოცულობით. აშშ-ის ენერგეტიკული ინფორმაციის ფედერალური ადმინისტრაცია ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის ზრდას პროგნოზირებს.

# „დედოფლისწყაროობა 2022“

*(დასაწყისი პირველ გვერდზე)*

დღევანდელ ეთნოგაუგებრობაში დედოფლისწყარო არის: ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების, იეზიდების, ბოშების, რუსების, უკრაინელების, ბელარუსების, პოლონელების და ებრაელების მშვიდობიანი, „ქიზიყური“ თანაცხოვრების უნიკალური და მისაბაძი მაგალითი.

დღეს, „დედოფლისწყაროობის“ ზეიმზე, ჩემთვის „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭების გადაწყვეტილება, უდიდესი მადლიერების ნიშნად, მე მინდა ჩემს წინაპრებს და მათ ქიზიყელ თანამემამულეებს მივუძღვნა. მეუფე თეოდორესთან ერთად ეს საპატიო წოდება კიდევ სამ, რაიონში სახელგანთქმულ ულამაზეს ქალბატონს ხვდა წილად. დიდი მადლობა ნდობისთვის! მეამაყებით და მიყვარხართ!“

დავით სონღულაშვილი: „მივესალმები დედოფლისწყაროელებს. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი შეკრება და ერთობა. ამგვარი ღონისძიებები უფრო ხშირად იქნება, რადგან არსებული რეალობა უკვე მოგვცემს ამის საშუალებას. განათლება არის ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტი. პრემიერის ინიციატივაა, 1000 სკოლის რეაბილიტაცია, რისთვისაც ძალიან დიდი მადლობა მას. მაგრამ, მხოლოდ სკოლების რეაბილიტაცია ვერაფერს იზამს, თუ მასწავლებლებსაც შესაბამისი დაფასება არ ექნებათ. მინდა, საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება მივულოცო ნანული მასწავლებელს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ასწავლიდა საქართველოს ისტორიას დედოფლისწყაროელებს“.



ნანული ნატროშვილი: „60 წლის განმავლობაში ვასწავლიდი საქართველოს ისტორიას და მოსწავლეებს ვაყვარებდი ჩვენი ქვეყნის ისტორიას. ულრმესი მადლობა, ჩემო საყვარელო, ჩემო აღზრდილო მოსწავლეებო. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც დამაფასა და ეს საპატიო წოდება მომანიჭა“.





ცარო მარტიაშვილი: „მადლობა თითოეულ დედოფლისწყაროელს იმ დიდი სიყვარულისთვის, რასაც მე ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. მე რომ აქ ვდგავარ, ეს თითოეული თქვენგანის დამსახურებაა, დიდი მადლობა ამისათვის. მადლობა ჩემს თანამშრომლებს, რომლებიც მუდამ ჩემს გვერდით არიან. ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მინდა ყოველთვის ერთმანეთის გვერდით ვიყოთ. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: **„მე მიხარია, რომ თქვენს ახლოს, თქვენს გვერდით ვცხოვრობ, რომ თქვენთან ერთად საზიარო ვსუნთქავ ჰაერით“**.

კონცერტზე დედოფლისწყაროელებისთვის და მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის მუსიკალური ნომრები შეასრულეს „ღამის შოუს ბენდმა“, ეკა კახიანმა, ნინი ბადურაშვილმა, მაია ჯაბუამ და მარი მამისმედიშვილმა. კონცერტი თამუნა გომართელს მიჰყავდა. საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

ცნობისათვის: „დედოფლისწყაროობა“ 2013 წელს დაარსდა და ის ყოველწლიურად, 2 აგვისტოს აღინიშნება. წელს, გუდაურში მომხდარმა ტრაგედიამ სახალხო დღესასწაული რამდენიმე დღით გადადო.

ინგა შიოლაშვილი

# არ დაწვა!!!

სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის დაწვა 500-დან 1300 ლარამდე ჯარიმით ისჯება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის გადაწვის მავნე პრაქტიკა, რომელსაც სამწუხაროდ, ფერმერები დღემდე იყენებენ, საფრთხეს უქმნის ქარსაფარ ზოლებს და ტერიტორიის ახლომდებარე ინფრასტრუქტურას; იწვევს ნიადაგის თვისებების გაუარესებას, ნაყოფიერების დონის შემცირებას და საბოლოოდ, ნიადაგის დეგრადაციას; ფერმერებისგან გაჩენილი ხელოვნური ხანძრები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს, ბიომრავალფეროვნებას, იწვევს გაუდაბნოებას.

შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის გადაწვა კანონით აკრძალული ქმედებაა. სამართალდარღვევა, გარემოებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს 500-დან 1300-ლარამდე ჯარიმას, რასაც გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხაც ემატება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები მკაცრად გააკონტროლებენ იმ ტერიტორიებს, სადაც მსგავსი ქმედების ჩადენის რისკი არსებობს. სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

***სტატისტიკის მიხედვით, გარკვეული ფერმერების უპასუხისმგებლო ქმედებით, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების დაწვის შედეგად გაჩენილი ხანძრით, ათობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწაა გადამწვარი და რამდენიმე ათეული კილომეტრი ქარსაფარი ზოლია განადგურებული.***

გარემოს დაცვის ინსპექციამ კახეთში, ნაკვეთის დაწვის ფაქტზე 36 ოქმი შეადგინა და სასამართლოს გადასცა.

## ულოცავენ!

**მარიკა პოპიაშვილს!**

**ნიკუშა ბენიაიძეს!**

ჩვენო ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს - 28 აგვისტოს და მარიამობის დღესასწაულს. გიძღვნით ცნობილი კახელი პოეტის ლეილა ბაგრატიონის (ბაბადიშის) ლექსიდან ამონარიდს:

*„...იცოდეთ, აღმართი მოჰყვება თავდაღმართს –*
*კარგია, ყოველთვის თუ გემახსოვრებათ:*
*როცა გაიფიქრებთ – აი, აქ დამთავრდა!*
*სწორედ აქ იწყება ახალი ცხოვრება...“*

**საუკეთესო სურვილებით და ულრმესი პატივისცემით,**

დედოფლისწყაროს მერიის, საკრებულოს, გაზეთ „შირაქის“ რედაქციის, მწიგნობართა და მწერალთა ასოციაციის სახელით:
ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ნუგზარ პაპიაშვილი,
ინგა შიოლაშვილი, ვანო და გიორგი ნატროშვილები.

## ლაშა ბექაური ტატამს უბრუნდება



3-4 სექტემბერს, ავსტრიის ქალაქ ობერვარტში, „ობერვარტის ევროპის პირველობა“ გაიმართება, სადაც საქართველოს ნაკრები 7 სპორტსმენით იასპარეზებს.

404 დღიანი პაუზის შემდეგ ტატამს უბრუნდება ოლიმპიური ჩემპიონი - ლაშა ბექაური, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ არ უჭიდავია. გაზეთ „შირაქს“, ლაშა ბექაურის ტატამზე დაბრუნების შესახებ ინფორმაცია თავად ლაშა ბექაურმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა - ლაშა გუჯეჯიანმა დაუდასტურეს.

ამ ხნის განმავლობაში ოლიმპიური ჩემპიონი მკურნალობასა და რეაბილიტაციას გადიოდა, რამდენიმე თვეა ის აქტიურად ვარჯიშობს.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 22.08 | | სამშაბათი 23.08 | | ოთხშაბათი 24.08 | | ხუთშაბათი 25.08 | | პარასკევი 26.08 | | შაბათი 27.08 | | კვირა 28.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 30° | 16° | 29° | 16° | 30° | 16° | 30° | 16° | 30° | 17° | 31° | 17° | 32° | 18° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქეძაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.